

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016-2019 წლების პრიორიტეტები

ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016-2019 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პრიორიტეტულ ღონისძიებებს და მიმართულებებს, რომლის განხორციელება გათვალისწინებულია ადგილობრივი ბიუჯეტით.

პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.

სამოქმედო გეგმის განსაზღვრა რეგიონისა და ქალაქის სტაბილური განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ქ. ბათუმის პრიორიტეტების განსაზღვრისას მთავარ მიზნად იქნა დასახული ქალაქის ეკონომიკური განვითარების ტემპის შენარჩუნება, ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯების ეფექტიანობის გაზრდა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.

საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დასახული პრიორიტეტებისა და ქ. ბათუმში არსებული სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია მომდევნო წლებში განსახორციელებელი ღონისძიებები.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016-2019 წლების პრიორიტეტულ მიმართულებებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

აღნიშნული პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილია იმ პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელება, რომელთა დაფინანსება საკუთარი უფლებამოსილების გათვალისწინებით ხორციელდება, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ისე მოზიდული სახსრების საშუალებით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის საბოლოო შედეგების ანალიზი

ბიუჯეტის შემოსულობები:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 117,605.0 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2014 წლის გეგმიური მაჩვენებლის 101.6%-ია.

2014 წლის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებმა 117,242,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს;

საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 13,937.5 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 13,000.0 ათასი ლარის 107.2%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 11.9%-ს. საგადასახადო შემოსავლები ძირითადად ქონების გადასახადის სახით იყო წარმოდგენილი;

ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 76,387.1 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 76,993.0 ათასი ლარის 99.2%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი შეადგენს 65,0%-ს.

სხვა შემოსავლების 2014 წლის საპროგნოზო მოცულობა 25,307.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 26,917.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 106.4%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 22.9%-ს შეადგენს.

2014 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 362.6 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (400.0 ათასი ლარის) 90.6%-ია. შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 0.3%-ს. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს.

ბიუჯეტის ასიგნებები სფეროების მიხედვით:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2014 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 14,413.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 13,892.1 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 96.4%.

თავდაცვის სფეროსათვის გათვალისწინებული იყო 40.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 30.2 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 75.4%-ით.

ეკონომიკური საქმიანობისათვის დაგეგმილი იყო 30,945.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 26,699.3 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 86.3%.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 9,758.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 9,015.8 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 92.4%.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 23,625.8 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 16,071.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 68.0%-ია.

ჯანმრთელობის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 1,912.3 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 1,714.2 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 89.6%-ია.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 19,306.7 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 14,261.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 73.9%-ია.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 12,091.9 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 11,013.8 ათას ლარს, ანუ გეგმის 91.1%-ს.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 5,197.5 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 4,592.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 88.4%-ია.

ვალდებულებების (სესხის ძირი თანხის) დაფარვაზე დაგეგმილი იყო 8,398.6 ათასი ლარი, რაც დაფურული იქნა 8,089.1 ათასი ლარის ოდენობით, შესრულება 96.3%-ია.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის გადამუშავებული პროგნოზი

ბიუჯეტის შემოსულობები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 110,880.1 ათასი ლარის ოდენობით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 109,580.1 ლარს. აქედან:

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 17,500.0 ათას ლარს, ადგილობრივ ბიუჯეტში გადასახადების კუთხით 2015 წელს ირიცხება მხოლოდ ქონების გადასახადი.

2015 წელს საქართველოს სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 63,466.6 ათასი ლარის ოდენობით.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 28,613.5 ათას ლარს.

2015 წელს არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები სახსრების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 1,300.0 ათას ლარს. რაც მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს.

2015 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთი გამოყენებული იქნა 34,167.1 ათასი ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით:

2015 წელს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 145,047.2 ათასი ლარის ოდენობით. ასიგნებების განაწილება პრიორიტეტების და პროგრამების მიხედვით შემდეგია:

პრიორიტეტი: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება 21,977.9 ათასი ლარი. მათ შორის:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო 1,860.0 ათასი ლარი;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია 7,439.2 ათასი ლარი;

სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 12,062.6 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი 600.0 ათასი ლარი;

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი 16.1 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 1,861.8 ათასი ლარი. მათ შორის:

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამღლების ხელშეწყობა 35.8 ათასი ლარი;

საგანგებო სიტუაციების მართვა 1,826.0 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 81,420.0 ათასი ლარი.; მათ შორის:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება 23,805.4 ათასი ლარი;

კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება 41,052.0 ათასი ლარი;

ქალაქის კეთილმოწყობა 10,086.4 ათასი ლარი;

განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია 6,476.2 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: განათლება 10,920.4 ათასი ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლება 10,837.9 ათასი ლარი;

უმადლესი განათლების ხელშეწყობა 52.5 ათასი ლარი;

უცხოეთში სტაჟირება 30.0 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი 16,661.0 ათასი ლარი. მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 6,551.4 ათასი ლარი;

კულტურის განვითარების ხელშეწყობა 9,837.8 ათასი ლარი;

საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა 271.8 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 8,351.6 ათასი ლარი, მათ შორის;

ჯანმრთელობის დაცვა 3,160.6 ათასი ლარი;

სოციალური უზრუნველყოფა 5,191.0 ათასი ლარი;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები

ბიუჯეტის შემოსულობები:

2016 წლისათვის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 136,692.3 ათასი ლარი ოდენობით. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 25,812.2 ათასი ლარით აღემატება.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 134,192.3 ლარს. აქედან:

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 35,000.0 ათას ლარს, ადგილობრივ ბიუჯეტში გადასახადების კუთხით 2016 წლიდან ქონების გადასახადთან ერთად საშემოსავლო გადასახადის ნაწილიც ირიცხება, შესაბამისად საგადასახადო შემოსავლები 2015 წელთან შედარებით გაზრდილია 17,500.0 ათასი ლარით.

საქართველოს სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 68,642.3 ათასი ლარის ოდენობით.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 30,550.0 ათას ლარს, რაც 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1,936.5 ლარით აღემატება.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები სახსრების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 2,500.0 ათას ლარს.

2016 წელს 2015 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილია საკუთარი შემოსავლების წილი, გადასახადების და სხვა შემოსავლების საპროგნოზო პარამეტრის ზრდა ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურაზე უდავოდ დადებითად აისახება.

ფინანსური აქტივების შემცირების კუთხით (2016 წლისათვის არსებული ნაშთის გამოყენება) იგეგმება 750,0 ათასი ლარის გამოყენება.

ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით:

2015 წელს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 145,047.2 ათასი ლარის ოდენობით. ასიგნებების განაწილება პრიორიტეტების და პროგრამების მიხედვით შემდეგია:

პრიორიტეტი: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება 24,526.2 ათასი ლარი. მათ შორის:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო 1,870.0 ათასი ლარი;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია 7,115.8 ათასი ლარი;

სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 14,940.4 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი 600.0 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 40.0 ათასი ლარი;

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა 40.0 ათასი ლარი, მათ შორის:

პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 72,522.3 ათასი ლარი. მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 21,971.7 ათასი ლარი;

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარება 6,721.0 ათასი ლარი;

საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება 23,944.5 ათასი ლარი;

ქალაქის გაფორმება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება 5,284.1 ათასი ლარი;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი 11,503.3 ათასი ლარი;

მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა 2,286.5 ათასი ლარი;

ქალაქის დაგეგმარება 811.2 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: განათლება 13,946.3 ათასი ლარი. მათ შორის:

სკოლამდელი განათლება 13,785.3 ათასი ლარი;

პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა 161.0 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი 16,186.2 ათასი ლარი. მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 11,691.4 ათასი ლარი;

კულტურის განვითარების ხელშეწყობა 4,250.2 ათასი ლარი;

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა 244.6 ათასი ლარი;

პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 10,221.3 ათასი ლარი. მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვა 3,496.5 ათასი ლარი;

სოციალური უზრუნველყოფა 6,724.8 ათასი ლარი;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2014-2019 წლების ბიუჯეტის მაჩვენებლები

ბიუჯეტის ბალანსი

(ათას ლარებში)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
შემოსავლები	117,242.4	109,580.1	134,192.3	177,003.2	187,539.9	158,147.7
გადასახადები	13,937.5	17,500.0	35,000.0	36,400.0	37,900.0	39,500.0
გრანტები	76,387.1	63,466.6	68,642.3	109,103.2	116,839.9	84,147.7
სხვა შემოსავლები	26,917.8	28,613.5	30,550.0	31,500.0	32,800.0	34,500.0
ხარჯები	71,679.8	80,581.8	80,625.9	88,145.1	90,445.2	87,793.5
შრომის ანაზღაურება	8,489.4	18,076.0	20,318.6	20,939.7	21,442.7	21,595.7
საქონელი და მომსახურება	15,768.0	29,464.8	29,516.9	34,404.2	35,117.9	36,018.3
პროცენტი	2,548.4	3,038.4	3,645.9	4,275.3	4,067.3	3,700.3
სუბსიდიები	30,462.5	16,356.0	11,726.1	11,827.7	11,827.7	11,827.7
გრანტები		5.0	10.0	10.0	10.0	10.0
სოციალური უზრუნველყოფა	4,253.2	5,464.2	5,889.5	6,122.8	6,160.2	6,178.1
სხვა ხარჯები	10,158.3	8,177.4	9,518.9	10,565.4	11,819.4	8,463.4
საოპერაციო სალდო	45,562.6	28,998.3	53,566.4	88,858.1	97,094.7	70,354.2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	25,248.6	53,347.1	43,021.9	75,358.3	83,577.1	56,846.5
ზრდა	25,611.2	54,647.1	45,521.9	77,858.3	86,077.1	59,846.5
კლება	362.6	1,300.0	2,500.0	2,500.0	2,500.0	3,000.0
მთლიანი სალდო	20,314.0	-24,348.8	10,544.5	13,499.8	13,517.6	13,507.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	12,224.9	-33,418.1	-750.0			
ზრდა	12,224.9	749.0				
ვალუტა, დეპოზიტები	12,224.9					
აქციები და სხვა კაპიტალი		749.0				
კლება		34,167.1	750.0			
ვალუტა, დეპოზიტები		34,167.1	750.0			
ვალდებულებების ცვლილება	-8,089.0	-9,069.3	-11,294.5	-13,499.8	-13,517.6	-13,507.7
კლება	8,089.0	9,069.3	11,294.5	13,499.8	13,517.6	13,507.7
სესხები	7,650.9	9,024.2	11,294.5	13,499.8	13,517.6	13,507.7
სხვა კრედიტორული დავალიანებები	438.1	45.1				
ბალანსი	0	0	0	0	0	0

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

(ათას ლარებში)

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
შემოსულობები	117,605.0	110,880.1	136,692.3	179,503.2	190,039.9	161,147.7
შემოსავლები	117,242.4	109,580.1	134,192.3	177,003.2	187,539.9	158,147.7
არაფინანსური აქტივების კლება	362.6	1,300.0	2,500.0	2,500.0	2,500.0	3,000.0
გადასახდელები	105,380.0	145,047.2	137,442.3	179,503.2	190,039.9	161,147.7
ხარჯები	71,679.8	80,581.8	80,625.9	88,145.1	90,445.2	87,793.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	25,611.2	54,647.1	45,521.9	77,858.3	86,077.1	59,846.5
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)		749.0				
ვალდებულებების კლება	8,089.0	9,069.3	11,294.5	13,499.8	13,517.6	13,507.7
ნაშთის ცვლილება	12,224.9	-34,167.1	-750.0	0	0	0

პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

პრიორიტეტის დასაბუთება:

ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს განვითარებული ინფრასტრუქტურა წარმოადგენს. მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხს, გარდა სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისა, განსაზღვრავს ისეთი გარემოებები, როგორცაა მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურის, შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის, ეფექტური და ეფექტიანი კომუნალური სისტემის, ეკოლოგიური გარემოს ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლების, მოსახლეობისათვის შესაბამისი საცხოვრებელი გარემოსა და პირობების შექმნისა და გაუმჯობესების მიზნით, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია განისაზღვრა როგორც ქალაქ ბათუმის ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული მიმართულება. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პარალელურად განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა, შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

პროგრამული კოდი: 03 01

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა.

პროგრამის მიზანი:

ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია;
გზებისა და ქუჩების განტვირთვა სატრანსპორტო ნაკადებისგან;
ფეხით მოსიარულეთა და ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა.

პროგრამის განმახორციელებელი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

პროგრამა: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.

პროგრამული კოდი: 03 02

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა;
- მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება.

პროგრამის მიზანი:

სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება და მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ქალაქის ქუჩებში მოწესრიგებულია სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობა და უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი.

პროგრამის განმახორციელებელი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

პროგრამა: საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

პროგრამული კოდი: 03 03

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა;
- წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა;
- კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა;
- ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება;
- ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა;
- გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა;
- ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება და ბილინგის სისტემის შექმნა.

პროგრამის მიზანი:

ეფექტური და ეფექტიანი კომუნალური სისტემის შექმნა;
ერთიანი ენერგო ეფექტური გარე განათების სისტემის ჩამოყალიბება;
მუნიციპალური სერვისების განვითარება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

შექმნილია მიწისქვეშა კომუნალური კომუნიკაციების სისტემა;
შექმნილია გარე განათების მართვის ერთიანი სისტემა და ამაღლებულია ენერგოეფექტურობა;
გაუმჯობესებულია საბაზო მუნიციპალური სერვისების ხარისხი.

პროგრამის განმახორციელებელი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

პროგრამა: ქალაქის გაფორმება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

პროგრამული კოდი: 03 04

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა;
- ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;
- ქალაქის გამწვანების ღონისძიებები;
- სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვა;
- ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღის სუბსიდირება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

პროგრამის მიზანი:

ქალაქში სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის და გამწვანებული ტერიტორიის გაფართოება, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ქალაქში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო.

პროგრამის განმახორციელებელი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

პროგრამა: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.

პროგრამული კოდი: 03 05

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის დასრულება;
- ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსის სუბსიდირება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდამჭერი ღონისძიებები.

პროგრამის მიზანი:

ქალაქის საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურის განვითარება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

შემცირებულია ამორტიზირებული და ექსპლუატაციისათვის უვარგისი საბინაო ინფრასტრუქტურა.

პროგრამის განმახორციელებელი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

პროგრამა: მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

პროგრამული კოდი: 03 06

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;
- მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობა.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალური სასაფლაოების სერვისის ხარისხიანი და შეუფერხებელი მიწოდება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

მუნიციპალური სასაფლაოები ფუნქციონირებს გამართულად.

პროგრამის განმახორციელებელი:
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

პროგრამა: ქალაქის დაგეგმარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.

პროგრამული კოდი: 03 07

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა;
- ქალაქის ქონების ინვენტარიზაცია;
- ქალაქის განვითარების გეგმის შედგენა.

პროგრამის მიზანი:

ქალაქის გეგმაზომიერი განვითარების უზრუნველყოფა

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ქალაქის განვითარება ხორციელდება გეგმაზომიერად, დამტკიცებული სტრატეგიის შესაბამისად.

პროგრამის განმახორციელებელი:
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

პრიორიტეტი: განათლება

პრიორიტეტის დასაბუთება:

სკოლამდელი განათლება განათლების სისტემის საბაზისო, პირველ საფეხურს წარმოადგენს, რომლის ხელმისაწვდომობისათვის სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.

ქალაქის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს.

გარდა სკოლამდელი განათლების მიწოდების უზრუნველყოფისა, ქალაქის განვითარების პრიორიტეტი უმაღლესი განათლების მხარდაჭერაა, რაც მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევების შესაბამისად კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური ადამიანური რესურსის მომზადებისა და დასაქმების მაჩვენებლის ზრდის თვალსაზრისით.

პროგრამა: სკოლამდელი განათლება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
განათლება

პროგრამული კოდი: 04 01

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების სუბსიდირება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
- საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და რეაბილიტაცია.

პროგრამის მიზანი:

ხარისხიანი მუნიციპალური სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნა

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო.

პროგრამის განმახორციელებელი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

პროგრამა: პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:
განათლება

პროგრამული კოდი: 04 02

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიის გაცემა წარმატებული სტუდენტებისათვის.

პროგრამის მიზანი:

ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლება, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი ახალგაზრდა კადრების ზრდა, ბათუმელ ახალგაზრდებს შორის აკადემიური მოსწრების ამაღლების სტიმულირება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ამაღლებულია ბათუმელი ახალგაზრდების პროფესიული კვალიფიკაცია და აკადემიური მოსწრება.

პროგრამის განმახორციელებელი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პრიორიტეტის დასაბუთება:

კულტურის მნიშვნელობა და ინტერპრეტაცია ცვალებადი და აქტიური პროცესია. ის თავის თავში მოიცავს ისეთ განსხვავებულ ასპექტებს, როგორცაა მსოფლმხედველობა, იდეოლოგია, ჩვეულებები, რიტუალები, სიმბოლოები. კულტურა, როგორც ინსტიტუციონალური სფერო, ფორმირდება სხვადასხვა საქმიანობისთვის განკუთვნილ ინსტიტუტთა ჯგუფებისგან, როგორცაა: ხელოვნება, თეატრი, ლიტერატურა, რელიგია, მედია და განათლება. ქალაქის ეკონომიკური განვითარების პარალელურად, მნიშვნელოვანია ამ ინსტიტუტთა ფუნქციონირების, ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ახალი მიმართულებების ჩამოყალიბებისა და განვითარების, ქალაქის კულტურული პოტენციალის პოპულარიზაციისა და მოქალაქეებისათვის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის, კულტურის პროდუქტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

„ევროპის სპორტის ქარტიისა და სპორტული ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად, სპორტი გულისხმობს არარეგულარული ან ორგანიზებული სახით ფიზიკური საქმიანობის ყველა ფორმას, რომლის მიზანია ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარება და ყველა დონის შეჯიბრებებზე შედეგების მიღწევა. „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში“ აღნიშნულია, რომ ქვეყანაში მაღალია არაგადამდებ დაავადებათა მაჩვენებელი (ჭარბწონიანობა, გულსისხლძარღვთა დაავადებები, სკოლიოზი და კიფოზი მოზარდებში), ასევე დაბალია მოსახლეობის ფიზიკური აქტივობისა და მასობრივ სპორტში ჩართულობის მაჩვენებელი. აღნიშნული ცხადყოფს, რომ მოსახლეობაში ფიზიკური აქტივობისა და სპორტული განათლების ხელშეწყობა მნიშვნელოვანი და აუცილებელია როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ დონეზე. მოსახლეობის სპორტით დაინტერესების პარალელურად, მნიშვნელოვანია სპორტის არსებული ტრადიციების განვითარება, სპორტული კლუბების დაფუძნებისა და ფუნქციონირების ხელშეწყობა, შესაბამის ტერიტორიებზე აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დამყარება.

პროგრამა: სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამული კოდი: 05 01

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა;
- სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა;
- ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა;
- სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია;

- ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრი“-ს სუბსიდირება;
- მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ნონა“-ს სუბსიდირება;
- ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბის სუბსიდირება;
- ა(ა)იპ „ბათუმის ავტოდრომი“-ს სუბსიდირება.

პროგრამის მიზანი:

ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, საზოგადოების აქტიური ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია საზოგადოების ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში; გაზრდილია ბათუმელი სპორტსმენების სპორტული მიღწევები

პროგრამის განმახორციელებელი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია. მერის ადმინისტრაცია

პროგრამა: კულტურის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამული კოდი: 05 02

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- საერთაშორისო ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა;
- კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა;
- ხელოვანთა ხელშეწყობა;
- ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი;
- ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის სუბსიდირება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობისა და შენარჩუნების ღონისძიებები

პროგრამის მიზანი:

ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია ქალაქის კულტურული აქტივობა

პროგრამის განმახორციელებელი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

პროგრამა: ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამული კოდი: 05 03

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- ახალგაზრდული ცენტრის შექმნა;
- ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა
- სტუდენტური საზაფხულო დასაქმება.

პროგრამის მიზანი:

ახალგაზრდობის გააქტიურება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში .

პროგრამის განმახორციელებელი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მერის ადმინისტრაცია

პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პრიორიტეტის დასაბუთება

საზოგადოების ჯანმრთელობა ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. მოსახლეობის ავადობა და სიკვდილიანობა უარყოფითად მოქმედებს როგორც ადამიანური რესურსების მწარმოებლურობაზე, ისე ეკონომიკურ განვითარებაზე. მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოსახლეობის გარკვეული ფენისათვის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით გაგრძელდება იმ დაავადებების პრევენციისა და მკურნალობის სხვადასხვა ღონისძიებების, ასევე სოციალურად დაუცველი ფენისა და შ.შ.მ. პირებისათვის იმ სერვისების დაფინანსება, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.

პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამული კოდი: 06 01

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა;
- ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობა;
- ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა;
- ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;
- მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურეობა;
- C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება;
- შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია;
- ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტთა მონიტორინგი და დიაგნოსტიკა;
- ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია;
- სანიტარული დაცვის ღონისძიებები;
- ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი;
- ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება;
- ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება;

- მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება;
- ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება.

პროგრამის მიზანი:

ქ. ბათუმის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯების შემცირება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, უზრუნველყოფილია დაავადებათა ადრეული გამოვლენა, პრევენცია და მკურნალობა, გაუმჯობესებულია ეპიდსიტუაცია

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

პროგრამა: სოციალური უზრუნველყოფა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

პროგრამული კოდი: 06 02

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება;
- მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა;
- უპოვართა და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება;
- მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა;
- მუნიციპალური უფასო სასადილოს უფასო კვების ადმინისტრირება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ახალი სასადილოს მოწყობა;
- დროებითი ღამის თავშესაფარი;
- სოციალური უზრუნველყოფის სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა.

პროგრამის მიზანი:

საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობების გაუმჯობესება და ფინანსური რისკების შემცირება

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობები

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

პრიორიტეტი: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

პრიორიტეტის დასაბუთება:

თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და განსაზღვრულია როგორც საქართველოს მშვიდობიანი განვითარების აუცილებელი პირობა. სავალდებულო სამხედრო სამსახურში წვევამდელთა გაწვევის მიზნით ქ. ბათუმში რეგისტრირებულ წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირებას, სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების საფუძველზე უზრუნველყოფს „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

პროგრამა: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

პროგრამული კოდი: 02 01

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- სავალდებულო სამხედრო სამსახურში წვევამდელთა გაწვევის მიზნით ქ. ბათუმში რეგისტრირებულ წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება (თბილისში).

პროგრამის მიზანი:

სავალდებულო სამხედრო სამსახურში წვევამდელთა გაწვევის პროცესის შეუფერხებლად წარმართვა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესი ხორციელდება შეუფერხებლად.

პროგრამის განმახორციელებელი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები და მათი დაფინანსების ოდენობა

(ლარებში)

კოდი	დასახელება	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	24,526,153	28,870,023	28,249,831	27,872,985
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,870,000	1,860,000	1,860,000	1,860,000
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	7,115,800	8,635,000	8,205,000	8,205,000
01 03	სასესიო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	14,940,353	17,775,023	17,584,831	17,207,985
01 03 01	მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება	212,753	196,572	196,572	167,066
01 03 02	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება	14,727,600	17,578,451	17,388,259	17,040,919
01 04	სარეზერვო ფონდი	600,000	600,000	600,000	600,000
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	40,000	50,000	50,000	50,000
02 01	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	40,000	50,000	50,000	50,000
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	75,332,402	105,535,800	122,371,600	92,340,000
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	21,971,519	45,917,000	62,771,600	36,960,000
03 01 01	გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა	1,689,400	1,500,000	1,500,000	1,500,000
03 01 02	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა	20,282,119	44,417,000	61,271,600	35,460,000
03 02	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და სერვისის განვითარება	7,278,000	7,500,000	7,500,000	7,500,000
03 02 01	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა	1,378,000	1,600,000	1,600,000	1,600,000
03 02 02	მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება	5,900,000	5,900,000	5,900,000	5,900,000
03 03	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	23,944,288	26,819,000	26,250,000	26,250,000
03 03 01	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	4,341,758	4,500,000	4,500,000	4,500,000
03 03 02	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	2,115,000	7,500,000	7,500,000	7,500,000
03 03 03	კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია		1,500,000	1,500,000	1,500,000
03 03 04	ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	7,327,939	7,400,000	7,400,000	7,400,000
03 03 05	გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა	3,778,792	3,800,000	3,800,000	3,800,000
03 03 06	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება	6,166,600	2,069,000	1,500,000	1,500,000
03 03 07	ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება	214,200	50,000	50,000	50,000

03 04	ქალაქის გაფორმება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	7,274,183	10,500,000	9,800,000	9,950,000
03 04 01	პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა		1,000,000	1,000,000	1,000,000
03 04 02	ქალაქის გაფორმების ღონისძიებები	460,983	500,000	500,000	500,000
03 04 03	ქალაქის გამწვანების ღონისძიებები	2,106,900	2,700,000	2,800,000	2,950,000
03 04 04	სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მართვა	1,871,900	2,300,000	2,000,000	2,000,000
03 04 05	ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი	2,834,400	4,000,000	3,500,000	3,500,000
03 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	11,664,571	10,700,000	10,400,000	10,000,000
03 05 01	საცხოვრებელი სახლების მშენებლობა	2,774,300	2,500,000	2,500,000	2,500,000
03 05 02	ა(ა)იპ - ბათუმის კორპუსი	8,890,271	8,200,000	7,900,000	7,500,000
03 06	მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	2,388,640	1,349,800	650,000	680,000
03 06 01	მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	599,940	840,000	650,000	680,000
03 06 02	მუნიციპალური სასაფლაოების მშენებლობა	1,788,700	509,800		
03 07	ქალაქის დაგეგმარება	811,200.0	2,750,000.0	5,000,000.0	1,000,000.0
03 07 01	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და ტექნიკური ზედამხედველობა	310,000	300,000	300,000	300,000
03 07 02	საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა	501,200	2,000,000	3,500,000	500,000
03 07 03	ქალაქის დაგეგმარება		400,000	500,000	100,000
03 07 04	ქალაქის დაგეგმარება		50,000	700,000	100,000
04 00	განათლება	13,946,196	18,197,194	15,680,400	17,525,500
04 01	სკოლამდელი განათლება	13,785,196	18,006,194	15,459,400	17,244,500
04 01 01	ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	11,289,650	12,656,700	13,259,400	13,744,500
04 01 02	საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია	2,495,546	5,349,494	2,200,000	3,500,000
04 02	პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	161,000	191,000	221,000	281,000
04 02 01	პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	60,000	80,000	100,000	140,000
04 02 02	ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის	101,000	111,000	121,000	141,000
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	16,503,666	21,025,400	17,456,100	15,954,500
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	11,774,580	13,653,300	10,475,000	8,925,000
05 01 01	საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	342,000	350,000	400,000	400,000
05 01 02	სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა	5,055,400	5,000,000	5,000,000	5,000,000
05 01 03	ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა	37,000	40,000	50,000	50,000
05 01 04	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	4,524,000	6,000,000	3,000,000	1,400,000
05 01 05	ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი	1,187,080	1,437,000	1,300,000	1,350,000
05 01 06	მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა	77,000	140,000	150,000	150,000
05 01 07	ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"	353,000	400,000	400,000	400,000

05 01 08	ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი	116,300	176,300	125,000	125,000
05 01 09	ა(ა)იპ ბათუმის ავტოდრომი	82,800	110,000	50,000	50,000
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	4,484,526	7,090,500	6,764,500	6,799,500
05 02 01	საერთაშორისო ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა	380,000	430,000	480,000	480,000
05 02 02	კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა	150,000	180,000	200,000	200,000
05 02 03	ხელოვანთა ხელშეწყობა	20,000	25,000	30,000	30,000
05 02 04	ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი	3,167,400	5,000,000	4,500,000	4,500,000
05 02 05	ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა	767,126	855,500	954,500	989,500
05 02 06	ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია		600,000	600,000	600,000
05 03	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	244,560	281,600	216,600	230,000
05 03 01	ახალგაზრდული ცენტრი	141,600	176,600	191,600	205,000
05 03 02	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	17,960	20,000	25,000	25,000
05 03 03	სტუდენტური საზაფხულო დასაქმება	85,000	85,000		
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	10,220,965	10,635,534	10,662,804	10,675,700
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	3,496,277	3,545,334	3,572,604	3,585,500
06 01 01	ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა	320,666	325,980	325,980	329,676
06 01 02	ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობა	86,000	92,500	103,500	106,550
06 01 03	ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა	29,434	35,600	39,642	39,642
06 01 04	ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	86,700	86,700	86,700	86,700
06 01 05	მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება	75,000	75,000	75,000	75,000
06 01 06	C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება	177,293	189,250	189,250	195,400
06 01 07	შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია	219,075	220,135	220,135	220,135
06 01 08	ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტთა მონიტორინგი და დიაგნოსტიკა	43,000	43,000	43,000	43,000
06 01 09	ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია	127,590	135,890	144,558	144,558
06 01 10	სანიტარული დაცვის ღონისძიებები	542,400	542,400	542,400	542,400
06 01 11	ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი	63,394	63,394	63,394	63,394
06 01 12	ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება	135,600	145,360	148,920	148,920
06 01 13	ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	70,000	70,000	70,000	70,000
06 01 14	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	600,000	600,000	600,000	600,000

06 01 15	ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება	920,125	920,125	920,125	920,125
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	6,724,688	7,090,200	7,090,200	7,090,200
06 02 01	კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება	737,550	737,600	737,600	737,600
06 02 02	მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა	1,144,700	1,304,500	1,304,500	1,304,500
06 02 03	მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება	855,180	855,200	855,200	855,200
06 02 04	მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	941,976	1,007,700	1,007,700	1,007,700
06 02 05	მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა	63,200	63,200	63,200	63,200
06 02 06	მუნიციპალური უფასო სასადილო	2,800,000	3,000,000	3,000,000	3,000,000
06 02 07	დროებითი ღამის თავშესაფარი	174,582	114,500	114,500	114,500
06 02 08	საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა	7,500	7,500	7,500	7,500